გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 3046 2016 წლის 26 დეკემბერი ქ. გურჯაანი

დემონტაჟზე მშენებლობის
სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 31-ე, 33-ე, 36-ე - 39-ე, 46-ე - 58-ე, მე-60 მუხლების შესაბამისად სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის (ს.ნ 227752759) დირექტორის – **ეთერი ქევხიშვილის** მომართვის (გამგეობაში რეგ. № 2339-ქ, 02.12.2016 წ) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეთანხმებულ იქნას სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურის საჯარო სკოლის ეზოში, სახელმწიფოს საკუთრებაში და სკოლის სარგებლობაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 8814.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს.კ 51.03.62.010) არსებული ამორტიზირებული შენობა-ნაგებობის, საწყობის დემონტაჟი, ფართით 74.5 კვ.მ რაზედაც არსებობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა (წერილი MESO1500321829, 27.04.2015 წ) და სახელმწოფო ქონების ეროვნული სააგენტოს კახეთის მომსახურეობის ცენტრის თანხმობა (წერილი № 9/24950 20.05.2016) და დემონტაჟი განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით.
2. დაევალოს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს გასცეს ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტის დემონტაჟზე სანებართვო მოწმობა..
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს – 6 (ექვსი) თვით;
4. კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე დაევალოს გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს;
5. ბრძანება ძალაშია დაინტერესებული მხარისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ.№24).

გამგებელი **გივი გერგიძე**

„დამტკიცებულია“

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის
2016 წლის 26 დეკემბერი №3046-ბრძანებით

დამკვეთი: ს. კალაურის საჯარო სკოლა (ს/კ 227752753)
საპროექტო ობიექტი: საწყობის დემონტაჟი.
საფუძველი: - განცხადება.

საპროექტო ორგანიზაცია:
საკადასტრო რუკა და რეესტრიდან ამონაწერი: № 51.03.62.010

მიწის ნაკვეთის ფართი: 88140 $მ^2$

საწყობის დემონტაჟი

განაშენიანების ფართი: 74.5 $მ^2$
საერთო ფართი: 59.8 $მ^2$
სამშენებლო მოცულობა: 372.5 $მ^3$